**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები**

(23.08.2017 – 22.09.2017)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის" შესახებ დადგენილების თანახმად, კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება", შემუშავდა წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები, ჩატარდა ტრენინგები, როგორც მონიტორინგის განმახორციებელი პირებისათვის, ისე ყველა იმ სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და კურსდამთავრებულნი ახორციელებენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი 2017 წლის 23 აგვისტოს დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგს დაექვემდებარა 41 სამაუწყებლო არხი და 34 ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთი.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
ბ) წინა საარჩევნო დებატები;
გ) ახალ ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;
ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო

სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორების დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს პირველ შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2017 წლის 23 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით.

მონიტორიგნის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ. **პირდაპირ** დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, **ირიბად** დათმობილი დროის ფარგლებში გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც. კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

**საზოგადოებრივი მაუწყებელი**[1]

**I არხი –** საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 35.6%, „ევროპულ საქართველოს“ – 19.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 12.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 40.7%, „ევროპულ საქართველოს“ - 17.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 13.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემა **„თვითმმართველობა 2017“.** საანგარიშო პერიოდში გადაცემას პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი კ. შარაშენიძე (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„საზოგადოებრივ მაუწყებელის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

[1] საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი საანგარიშო პერიოდში მაუწყებლობას არ ახორციელებდა.


Prime Time
ქართული ოცნება 35.67%
ევროპული საქართველო 19.58%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12.58%
ახალი საქართველო 7.65%
პატრიოტთა ალიანსი 5.20%
გაერთიანებული დემოკრატიული… 5.08%
შენების მოძრაობა 4.80%
ახალი მემარჯვენეები 3.08%
დ/კ ა. ელისაშვილი 2.00%
რესპუბლიკური პარტია 1.91%
ლეიბორისტული პარტია 1.79%
მემარცხენე ალიანსი 0.66%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება 40.74%
ევროპული საქართველო 17.82%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 13.29%
პატრიოტთა ალიანსი 5.50%
ახალი საქართველო 4.86%
დ/კ ა. ელისაშვილი 4.53%
ლეიბორისტული პარტია 3.84%
შენების მოძრაობა 3.78%
გაერთიანებული დემოკრატიული… 3.61%
ახალი მემარჯვენეები 1.00%
რესპუბლიკური პარტია 0.84%
მემარცხენე ალიანსი 0.19%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00%



Prime Time
ქართული ოცნება 52% 48%
ევროპული საქართველო 59% 41%
ნაციონალური მოძრაობა 37% 63%
ახალი საქართველო 41% 59%
პატრიოტთა ალიანსი 32% 68%
გაერთიანებული დემოკრატიული...34% 66%
შენების მოძრაობა 48% 52%
ახალი მემარჯვენეები 29% 71%
დ/კ ა. ელისაშვილი 52% 48%
რესპუბლიკური პარტია 36% 64%
ლეიბორისტული პარტია 44% 56%
მემარცხენე ალიანსი 57% 43%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




სხვა დრო
ქართული ოცნება 54% 46%
ევროპული საქართველო 48% 52%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 45% 55%
პატრიოტთა ალიანსი 42% 58%
ახალი საქართველო 67% 33%
დ/კ ა. ელისაშვილი 59% 41%
ლეიბორისტული პარტია 63% 37%
შენების მოძრაობა 62% 38%
გაერთიანებული დემოკრატიული...52% 48%
ახალი მემარჯვენეები 50% 50%
რესპუბლიკური პარტია 26% 74%
მემარცხენე ალიანსი 50% 50%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას" – 56%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" – 22.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" – 43.1%, „ქართულ ოცნებას" – 33.4%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს" – 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„ახალი სივრცე",** რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების" (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს" (ერთელ), „ევროპული საქართველოს" (ერთხელ), „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის" (ერთხელ), „მერაბ კოსტავას საზოგადოების" (ერთხელ), „კომუნისტური პარტიის" (ერთხელ) და „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობის" (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატები შედგა „ქართული ოცნების" (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს" (ერთელ) და „ევროპული საქართველოს" (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიული...
ლეიბორისტული პარტია
საქართველოს ერთობისა და...
შენების მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
ახალი საქართველო
დამოუკიდებელი კანდიდატები
50% 50%
42% 58%
46% 54%
38% 62%
22% 78%
26% 74%
31% 69%
52% 48%
39% 61%
0% 100%
0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
ევროპული საქართველო
საქართველოს ერთობისა და...
გაერთიანებული დემოკრატიული...
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
ახალი საქართველო
დამოუკიდებელი კანდიდატები
69% 31%
40% 60%
90% 10%
51% 49%
25% 75%
27% 73%
0% 56%
0% 100%
79% 21%
0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 35.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 29.5%, „ევროპულ საქართველოს“ – 17.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 33.5%, „ქართულ ოცნებას“ – 21.7%, „ევროპულ საქართველოს“ – 21.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რუსთავი 2“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„არჩევანი“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ორჯერ) წარმომადგენლებს შორის.

„რუსთავი 2“–ის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამას **„განსხვავებული აქცენტები“** სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„რუსთავი 2“–ის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამაში **„კვირის გამომძიება“,** განთავსდა სიუჟეტი „ქართულ ოცნებაზე“ სათაურით „უპრობლემო ნეპოტიზმი“.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რუსთავი 2“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რუსთავი 2“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
რესპუბლიკური პარტია
საქართველოს ლეიბორისტული...
გაერთიანებული დემოკრატიული...
დ/კ ა. ელისაშვილი
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
ახალი საქართველო
ახალი მემარჯვენეები
შენების მოძრაობა
თამაზ მეჭიაური ერთიანი...
სახელმწიფო ხალხისთვის
56%
44%
71%
29%
70%
30%
63%
37%
52%
48%
69%
31%
53%
47%
53%
47%
74%
26%
56%
44%
26%
74%
49%
51%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
საქართველოს ლეიბორისტული...
ახალი საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული...
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
დ/კ ა. ელისაშვილი
რესპუბლიკური პარტია
შენების მოძრაობა
ახალი მემარჯვენეები
სახელმწიფო ხალხისთვის
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
76%
24%
66%
34%
75%
25%
73%
27%
74%
26%
70%
30%
61%
39%
68%
32%
73%
27%
77%
23%
67%
33%
67%
33%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
17%
83%
კაცი
ქალი

**შპს „ტელეიმედი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 49.6%, „ევროპულ საქართველოს“ – 19.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 42.5%, „ევროპულ საქართველოს“ – 20%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „ამომრჩევლის პირისპირ“ და „იმედის კვირა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„იმედის კვირა“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„ამომრჩევლის პირისპირ“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ევროპული საქართველოს“ (სამჯერ),„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი (ერთხელ). ამავე გადაცემაში პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები შედგა ორჯერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, ხოლო ერთხელ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება 49.61%
ევროპული საქართველო 19.67%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 14.02%
დ/კ ა. ელისაშვილი 4.93%
პატრიოტთა ალიანსი 3.48%
ახალი მემარჯვენეები 2.47%
გაერთიანებული დემოკრატიული... 1.92%
შენების მოძრაობა 1.52%
საქართველოს ლეიბორისტული პარტია 1.06%
ახალი საქართველო 0.93%
რესპუბლიკური პარტია 0.38%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება 42.52%
ევროპული საქართველო 20.00%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 14.41%
პატრიოტთა ალიანსი 5.62%
შენების მოძრაობა 4.11%
ახალი საქართველო 3.55%
გაერთიანებული დემოკრატიული... 2.56%
ახალი მემარჯვენეები 1.94%
დ/კ ა. ელისაშვილი 1.54%
საქართველოს ლეიბორისტული პარტია 1.30%
რესპუბლიკური პარტია 1.15%
მემარცხენე ალიანსი 0.56%
კ. ცისკარიძე 0.36%
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება 0.23%
დ/კ ზ. სიჭინავა 0.14%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00%


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დ/კ ა. ელისაშვილი
პატრიოტთა ალიანსი
ახალი მემარჯვენეები
გაერთიანებული დემოკრატიული...
შენების მოძრაობა
საქართველოს ლეიბორისტული...
ახალი საქართველო
რესპუბლიკური პარტია
84% 16%
86% 14%
84% 16%
81% 19%
46% 54%
57% 43%
77% 23%
85% 15%
46% 54%
58% 42%
100% 0%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პატრიოტთა ალიანსი
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული...
ახალი მემარჯვენეები
დ/კ ა. ელისაშვილი
საქართველოს ლეიბორისტული...
რესპუბლიკური პარტია
მემარცხენე ალიანსი
კ. ცისკარიძე
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
დ/კ ზ. სიჭინავა
81% 19%
70% 30%
65% 35%
52% 48%
72% 28%
58% 42%
76% 24%
75% 25%
42% 58%
53% 47%
62% 38%
72% 28%
40% 60%
62% 38%
50% 50%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
18%
82%
კაცი
ქალი

## შპს „ტელეკომპანია პირველი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 30.49%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17.75%, „ევროპულ საქართველოს“ – 17.04%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 26.55%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 21.24%, „ევროპულ საქართველოს“ – 20.91%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„დიანა ტრაპაიძის, ვახო სანაიას, ნინო ჟიჟილაშვილის და ინგა გრიგოლიას დღის ამბები“**. აღნიშნულ გადაცემას საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოცდაორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოცდაორჯერ), „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ (ცხრაჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ცხრაჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძროაბა–თავისუფალი საქართველოს“ (ცხრაჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ხუთჯერ), „ახალი საქართველოს“ (სამჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (სამჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი (სამჯერ). ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (სამჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ) წარმომადგენლებმა.

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას **„ხალხის პოლიტიკა“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (სამჯერ), „ევროპული საქართველოს“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (სამჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძროაბა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას **„პოლიტმეტრი“** სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძროაბა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი (ერთხელ). ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძროაბა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას **„რეაქცია“** სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „საქართველოს პატრიოტთა

ალიანსის“ (სამჯერ), „ახალი საქართველოს“ (სამჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგნლები. ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სამჯერ), „ახალი საქართველოს“ (სამჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

საანგარიშო პერიოდში „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა გადაცემა **„პირველები“**, სადაც პარტიის მხარდამჭერებთან, წევრებთან და მერობის კანდიდატთან ერთად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პრეზენტაცია შედგა.

საანგარიშო პერიოდში „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა გადაცემა **„საქმიანი დილა“**, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ა. ელისაშვილმა (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„ქალების ნარატივი“** სტუმრობდა „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„ანალიტიკა“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„საქმის კურსი“** დრო დაერთმოთ „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველოს“ (სამჯერ) წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ კანდიდატ ა. ელისაშვილს (სამჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ პირველის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvpirveli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ პირველის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული…
საქართველოს ლეიბორისტული პარტია
დ/კ ალეკო ელისაშვილი
საქართველოს რესპუბლიკური პარტია
ახალი მემარჯვენეები
მემარცხენე ალიანსი
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
დ/კ დომენტი სიჭინავა
საქართველოს ერთობისა და განვითარების…
30.49%
17.75%
17.04%
6.73%
6.04%
5.13%
4.87%
4.12%
3.74%
2.20%
0.93%
0.34%
0.30%
0.16%
0.15%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
ახალი საქართველო
შენების მოძრაობა
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
საქართველოს ლეიბორისტული პარტია
გაერთიანებული დემოკრატიული…
დ/კ ალეკო ელისაშვილი
საქართველოს რესპუბლიკური პარტია
ახალი მემარჯვენეები
საქართველოს ერთობისა და განვითარების…
მემარცხენე ალიანსი
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
დ/კ დომენტი სიჭინავა
თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა
26.55%
21.24%
20.91%
8.35%
5.32%
4.01%
3.96%
3.50%
2.36%
2.19%
0.71%
0.34%
0.21%
0.20%
0.12%
0.02%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00%


Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული...
საქართველოს ლეიბორისტული...
დ/კ ალეკო ელისაშვილი
საქართველოს რესპუბლიკური...
ახალი მემარჯვენეები
მემარცხენე ალიანსი
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
დ/კ დომენტი სიჭინავა
საქართველოს ერთობისა და...
58% 42%
60% 40%
58% 42%
55% 45%
66% 34%
56% 44%
62% 38%
55% 45%
31% 69%
63% 37%
70% 30%
52% 48%
49% 51%
0% 100%
52% 48%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
ახალი საქართველო
შენების მოძრაობა
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
საქართველოს ლეიბორისტული...
გაერთიანებული დემოკრატიული...
დ/კ ალეკო ელისაშვილი
საქართველოს რესპუბლიკური...
ახალი მემარჯვენეები
საქართველოს ერთობისა და...
მემარცხენე ალიანსი
ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა
დ/კ დომენტი სიჭინავა
თავისუფლება - ზვიად.
57% 43%
64% 36%
65% 35%
69% 31%
63% 37%
56% 44%
54% 46%
68% 32%
44% 56%
62% 38%
73% 27%
52% 48%
51% 49%
45% 55%
0% 100%
0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „სტუდია მაესტრო“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 29.4%, „ევროპულ საქართველოს“ – 23.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 13.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 32.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 28.2%, „ევროპულ საქართველოს“ – 13.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვება **„ახალი ამბები-მთავარი თემა“,** რომელშიც ინტეგრირებულია სტუმრის ბლოკი. საანგარიშო პერიოდში სტუმრის ბლოკს პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (თორმეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) და „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

2017 წლის 16 სექტემბერს საუკეთესო დროს განახლდა საზოგადოებრივი-პოლიტიკური პროგრამა **„ცეცხლის ხაზი“,** რომლის ფარგლებშიც შედგა დებატები საარჩევნო სუბიექტის „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ და პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის,სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია www.maestro.ge და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **პირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



Prime Time
ქართული ოცნება 29.41%
ევროპული საქართველო 23.13%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 13.10%
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 8.49%
გაერთიანებული დემოკრატიულო... 6.75%
დ/კ ა. ელისაშვილი 4.73%
შენების მოძრაობა 3.06%
ახალი საქართველო 2.62%
რესპუბლიკური პარტია 2.56%
ლეიბორისტული პარტია 2.15%
ახალი მემარჯვენეები 1.70%
საქართველოს ერთობისა და განვითარების... 0.98%
მემარცხენე ალიანსი 0.85%
თამაზ მეჭიაური ერთიანი... 0.47%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%




სხვა დრო
ქართული ოცნება 32.68%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 28.22%
ევროპული საქართველო 13.33%
პატრიოტთა ალიანსი 6.85%
გაერთიანებული დემოკრატიულო... 4.96%
ახალი საქართველო 3.23%
შენების მოძრაობა 3.20%
დ/კ ა. ელისაშვილი 2.24%
ახალი მემარჯვენეები 1.94%
თამაზ მეჭიაური-ერთიანი... 1.40%
რესპუბლიკური პარტია 0.96%
საქართველოს ერთობისა და განვითარების... 0.42%
ლეიბორისტული პარტია 0.33%
მემარცხენე ალიანსი 0.26%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიულო...
დ/კ ა. ელისაშვილი
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
რესპუბლიკური პარტია
ლეიბორისტული პარტია
ახალი მემარჯვენეები
საქართველოს ერთობისა და...
მემარცხენე ალიანსი
თამაზ მეჭიაური ერთიანი...
55% 45%
59% 41%
64% 36%
51% 49%
52% 48%
57% 43%
78% 22%
60% 40%
69% 31%
71% 29%
56% 44%
65% 35%
59% 41%
47% 53%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიულო...
ახალი საქართველო
შენების მოძრაობა
დ/კ ა. ელისაშვილი
ახალი მემარჯვენეები
თამაზ მეჭიაური-ერთიანი...
რესპუბლიკური პარტია
საქართველოს ერთობისა და...
ლეიბორისტული პარტია
მემარცხენე ალიანსი
62% 38%
38% 62%
61% 39%
56% 44%
48% 52%
56% 44%
70% 30%
57% 43%
64% 36%
35% 65%
63% 38%
57% 43%
36% 64%
65% 35%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
22%
78%
კაცი
ქალი

**შპს „პალიტრა TV“**

**(Palitra News)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ევროპულ საქართველოს“ – 25.4%, „ქართულ ოცნებას“ – 21.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 16.5%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 10.5%, „ახალ საქართველოს“ – 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 32.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 20.8%, „ევროპულ საქართველოს“ – 19.3%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პალიტრა News“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„360º“,** რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ექვსჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველოს“ (სამჯერ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ორჯერ), „ახალი საქართველოს“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პალიტრა News“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.palitratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პალიტრა News“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
ქართული ოცნება 32.57%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 20.88%
ევროპული საქართველო 19.31%
გაერთიანებული დემოკრატიული... 10.98%
ახალი საქართველო 8.96%
რესპუბლიკური პარტია 2.74%
კ. ცისკარიძე 2.55%
შენების მოძრაობა 1.28%
დ/კ ა. ელისაშვილი 0.72%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%


Prime Time
ევროპული საქართველო 62% 38%
ქართული ოცნება 52% 48%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 57% 43%
გაერთიანებული დემოკრატიული... 66% 34%
ახალი საქართველო 60% 40%
რესპუბლიკური პარტია 49% 51%
თავისუფალი საქართველო 69% 31%
დ/კ დ. სიჭინავა 63% 37%
შენების მოძრაობა 64% 36%
კ. ცისკარიძე 44% 56%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება 54% 46%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 61% 39%
ევროპული საქართველო 62% 38%
გაერთიანებული დემოკრატიული... 75% 25%
ახალი საქართველო 66% 34%
რესპუბლიკური პარტია 48% 52%
კ. ცისკარიძე 34% 66%
შენების მოძრაობა 88% 13%
დ/კ ა. ელისაშვილი 60% 40%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 44%, „ქართულ ოცნებას“ – 31.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 47.6% , „ქართულ ოცნებას“ – 27.48%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ობიექტივის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „არჩევნები 2017“, “შუა დღე“ და „ღამის სტუდია“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„არჩევნები 2017“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ათჯერ), „ახალი ქრისტიან დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ხუთჯერ), „შენების მოძრაობის“ (ოთხჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ), „ტრადიციონალისტების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„შუა დღე“** სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ათჯერ), „ახალი ქრისტიან დემოპკრატების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „შენების მოძრაობის“ (სამჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ხუთჯერ), „ტრადიციონალისტების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ქართული დასის“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ), „თავისუფლება–ზვიად გამსახურდიას გზის“ (ერთხელ) და „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას „ღამის სტუდია“ სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (თხუტმეტჯერ), „ახალი ქრისტიან დემოპკრატების“ (ორჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ) წარმომაგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ობიექტივის" მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obieqtivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ობიექტივის" ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
პატრიოოტთა ალიანსი 57% 43%
ქართული ოცნება 51% 49%
ლეიბორისტები 53% 47%
შენების მოძრაობა 63% 37%
მემარცხენე ალიანსი 56% 44%
დ/კ ა.ელისაშვილი 59% 41%
ახალი ქრისტიან დემოკრატ 55% 45%
გაერთ დემოკრატ მოძრაობა 54% 46%
ევროპელი დემოკრატები 63% 37%
ახალი მემარჯვენეები 54% 46%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
პატრიოოტთა ალიანსი 61% 39%
ქართული ოცნება 57% 43%
ლეიბორისტები 52% 48%
შენების მოძრაობა 66% 34%
ახალი ქრისტიან დემოკრატ 60% 40%
მემარცხენე ალიანსი 52% 48%
დ/კ ა.ელისაშვილი 59% 41%
გაერთ დემოკრატ მოძრაობა 65% 35%
ევროპელი დემოკრატები 59% 41%
ახალი მემარჯვენეები 70% 30%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
27%
73%
კაცი
ქალი

**შპს „იბერია TV“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 52.4%%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14.5%, „ევროპულ საქართველოს“ – 11.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 43.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 15.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იბერია TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „პრიორიტეტი“ და „ცენზურის გარეშე“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„პრიორიტეტი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „რეფორმატორების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„ცენზურის გარეშე“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (თხუთმეტჯერ), „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (შვიდჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ხუთჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ოთხჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ), „ლიბერალ–დემოკრატების“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობის და განვითარების პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ) წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იბერია TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იბერია TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.iberiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იბერია TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება 52.46%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 14.52%
ევროპული საქართველო 11.37%
ლეიბორისტული პარტია 5.94%
გაერთიანებული დემოკრატიული... 4.87%
პატრიოტთა ალიანსი 2.71%
ახალი საქართველო 2.51%
ახალი მემარჯვენეები 1.90%
რესპუბლიკური პარტია 1.77%
შენების მოძრაობა 1.58%
კ. ცისკარიძე 0.36%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება 43.19%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 15.22%
ევროპული საქართველო 7.81%
ლეიბორისტული პარტია 7.56%
გაერთიანებული დემოკრატიული... 6.83%
ახალი საქართველო 5.38%
პატრიოტთა ალიანსი 4.83%
დ/კ ა.ელისაშვილი 3.06%
რესპუბლიკური პარტია 2.26%
შენების მოძრაობა 2.17%
ახალი მემარჯვენეები 1.24%
კ. ცისკარიძე 0.45%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00% 50.00%


Prime Time
ქართული ოცნება 37% 63%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 65% 35%
ევროპული საქართველო 80% 20%
ლეიბორისტული პარტია 61% 39%
გაერთიანებული დემოკრატიული... 73% 27%
პატრიოტთა ალიანსი 67% 33%
ახალი საქართველო 64% 36%
ახალი მემარჯვენეები 52% 48%
რესპუბლიკური პარტია 79% 21%
შენების მოძრაობა 66% 34%
კ. ცისკარიძე 0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %







**შპს „სტარვიზია“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 45.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 18.8%, „ევროპულ საქართველოს“ – 11.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 45.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 26.7%, „ევროპულ საქართველოს“ – 15.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„სტარვიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსაკუთრებული თვალსაზრისი“, „აქტუალური თემა“ და „სასაზღვრო ზონა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსაკუთრებული თვალსაზრისი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„სასაზღვრო ზონა“** სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„აქტუალური თემა“** სტუმრობდნენ „ახალი საქართველოს“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ჯ.ა. სმითი (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „სტარვიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„სტარვიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.stargroup.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სტარვიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
შენების მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
ახალი საქართველო
ლეიბორისტული პარტია
პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიული...
45.40%
26.75%
15.97%
3.21%
2.21%
2.01%
1.86%
1.84%
0.73%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00% 50.00%


Prime Time
ქართული ოცნება 30% 70%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 67% 33%
ევროპული საქართველო 55% 45%
პატრიოტთა ალიანსი 79% 21%
ახალი საქართველო 87% 13%
რესპუბლიკური პარტია 28% 72%
შენების მოძრაობა 90% 10%
ლეიბორისტული პარტია 100% 0%
გაერთიანებული დემოკრატიული... 100% 0%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება 34% 66%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 69% 31%
ევროპული საქართველო 48% 52%
შენების მოძრაობა 90% 10%
რესპუბლიკური პარტია 28% 72%
ახალი საქართველო 77% 23%
ლეიბორისტული პარტია 80% 20%
პატრიოტთა ალიანსი 79% 21%
გაერთიანებული დემოკრატიული... 55% 45%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „ტელეკომპანია კავკასია“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 33.1%, „ევროპულ საქართველოს“ – 27.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 18.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 22.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 20.6%, „ევროპულ საქართველოს“ – 20.1%, „ახალ საქართველოს“ – 12.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „სპექტრი“, „ბარიერი“, „განსხვავებული აზრი“ და „თქვენი დრო“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„სპექტრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„ბარიერი“** სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ექვსჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი.

გადაცემას **„თქვენი დრო“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ქართული ოცნება 60% 40%
ევროპული საქართველო 55% 45%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 62% 38%
ახალი საქართველო 57% 43%
დ/კ ა. ელისაშვილი 50% 50%
პატრიოტთა ალიანსი 63% 37%
ლეიბორისტული პარტია 46% 54%
შენების მოძრაობა 66% 34%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი... 92% 8%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება 54% 46%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 74% 26%
ევროპული საქართველო 48% 52%
ახალი საქართველო 60% 40%
დ/კ ა. ელისაშვილი 33% 67%
შენების მოძრაობა 58% 42%
პატრიოტთა ალიანსი 46% 54%
ლეიბორისტული პარტია 40% 60%
მემარცხენე ალიანსი 52% 48%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
12%
88%
კაცი
ქალი

**შპს „ტელეარხი 25“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 42.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 33.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 40.5% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 37.2%, „ევროპულ საქართველოს“ – 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ 25“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„საზოგადოებრივი პოზიცია“,** რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“(ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ 25“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ 25“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv25.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ 25“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
რესპუბლიკური პარტია
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
40.51%
37.25%
11.43%
5.34%
3.61%
1.20%
0.67%
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%
30.00%
35.00%
40.00%
45.00%


Prime Time
ქართული ოცნება 53% 47%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 53% 47%
პატრიოტთა ალიანსი 52% 48%
ლეიბორისტული პარტია 74% 26%
ევროპული საქართველო 70% 30%
რესპუბლიკური პარტია 67% 33%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი... 56% 44%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება 54% 46%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 53% 47%
ევროპული საქართველო 78% 22%
პატრიოტთა ალიანსი 79% 21%
ლეიბორისტული პარტია 69% 31%
რესპუბლიკური პარტია 77% 23%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი... 71% 29%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 67.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 70%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 19.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„გურჯაანის“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურჯაანის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურჯაანის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gurjaanitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურჯაანის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ევროპული საქართველო
67.77%
17.03%
6.39%
4.55%
4.26%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00% 80.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
პატრიოტთა ალიანსი
70.08%
19.51%
4.70%
3.91%
1.80%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00% 80.00%


Prime Time
ქართული ოცნება 27% 73%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 72% 28%
პატრიოტთა ალიანსი 64% 36%
ლეიბორისტული პარტია 87% 13%
ევროპული საქართველო 26% 74%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %







**შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 45.1%, „ევროპულ საქართველოს“ – 35.1%, „ქართულ ოცნებას“ – 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 47.1%, „ევროპულ საქართველოს“ – 19%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 11.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რიონის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა **„თემა“,** რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“

(ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) და „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რიონის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რიონის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rionitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რიონის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევოპული საქართველო
ქართული ოცნება
ახალი საქართველო
81%
19%
83%
17%
100%
0%
85%
15%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი...
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
34%
66%
92%
8%
81%
19%
80%
20%
88%
12%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
1%
99%
კაცი
ქალი

**შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 60.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 13.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 50.7%, „შენების მოძრაობას“ – 25.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„თრიალეთის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „შაბათის სტუდია“, „შესვენების საათი“, „ექსპრეს ინტერვიუ“, „მოვლენების ცენტრში“ და „სტუდია რე“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი**“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები თ. თედლიაშვილი (ერთხელ) და ვ. კაპანაძე (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ), “რესპუბლიკური პარტიის“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ) წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ვ. კაპანაძემ (ერთხელ).

გადაცემას **„შაბათის სტუდია“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„შესვენების საათი“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „სახალხო–ხალხის ერთსულოვნების“ (ერთხელ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„ექსპრეს ინტერვიუ“** სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენელი და დამოუკიდებელი კანდიდატი გ. წულაია (ერთხელ).

გადაცემას **„მოვლენების ცენტრი“** სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ) და „სახალხო–ხალხის ერთსულოვნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ და „სახალხო–ხალხის ერთსულოვნების“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „თრიალეთის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„თრიალეთის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილია და საკუთარ ვებ–გვერდზე (www.trialeti.ge) ატვირთულია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
პატრიოტთა ალიანსი
ევროპული საქართველო
დ/კ თ.თედლიაშვილი
შენების მოძრაობა
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
დ/კ ი. კაპანაძე
გაერთიანებული დემოკრატიული...
26%
74%
49%
51%
58%
42%
80%
20%
71%
29%
80%
20%
81%
19%
86%
14%
83%
17%
84%
16%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
შენების მოძრაობა
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
პატრიოტთა ალიანსი
რესპუბლიკური პარტია
დ/კ თ.თედლიაშვილი
დ/კ ი. კაპანაძე
გაერთიანებული დემოკრატიული...
დ/კ რ. ნოზაძე
22%
78%
90%
10%
75%
25%
78%
22%
83%
17%
89%
11%
88%
12%
58%
42%
79%
21%
100%
0%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
35%
65%
კაცი
ქალი

**სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 44.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 28.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „შენების მოძრაობას“ – 46.9%, „ქართულ ოცნებას“ – 21.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ქვემო ქართლის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „სტუდია 4“, „სტუდია რე“ და „არჩევნები 2017“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„სტუდია 4“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

გადაცემას **„არჩევნები 2017“** სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), “საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ), “სახალხო–ხალხის ერთსულოვნების“ (ერთხელ) და „ზვიადის გზა, უფლის სახელით“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შორის, ასევე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“, „სახალხო–ხალხის ერთსულოვნების“ და „ზვიადის ხმა, ხალხის სახელით“ წარმომადგენლებს შორის, „შენების მოძრაობის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის. **ამასთან, გადაცემის წამყვანის განცხადებით, სტუდიაში სტუმრობაზე „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წევრებმა უარი განაცხადეს.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, ქვემო ქართლის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ქვემო ქართლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://tvkvemokartli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქვემო ქართლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
შენების მოძრაობა
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
უფლის სახელით
დ/კ ი. დოლაკიძე
დ/კ ზ. სივსივაძე
პატრიოტთა ალიანსი
რესპუბლიკური პარტია
ლეიბორისტული პარტია
44.55%
28.70%
8.50%
7.44%
5.49%
1.24%
1.06%
1.06%
1.06%
0.53%
0.35%
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%
30.00%
35.00%
40.00%
45.00%
50.00%


სხვა დრო
შენების მოძრაობა
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება
ლეიბორისტული პარტია
46.92%
21.35%
17.14%
6.77%
5.41%
2.41%
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%
30.00%
35.00%
40.00%
45.00%
50.00%


Prime Time
ქართული ოცნება 40% 60%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 41% 59%
ევროპული საქართველო 39% 61%
შენების მოძრაობა 55% 45%
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება 58% 42%
უფლის სახელით 57% 43%
დ/კ ი. დოლაკიძე 67% 33%
დ/კ ზ. სივსივაძე 67% 33%
პატრიოტთა ალიანსი 67% 33%
რესპუბლიკური პარტია 0% 100%
ლეიბორისტული პარტია 0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
შენების მოძრაობა 3% 2%
ქართული ოცნება 36% 64%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 64% 36%
ევროპული საქართველო 40% 60%
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება 61% 39%
ლეიბორისტული პარტია 75% 25%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
26%
74%
კაცი
ქალი

**შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა–ტვ“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 35.57%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 30.28%, „ევროპულ საქართველოს“ – 12.97%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ევროპულ საქართველოს“ – 44.42%, „ქართულ ოცნებას“ – 41.94% და „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 13.65% (იხ. დიაგრამა).

**„მეგა ტვ“–ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრვი–პოლიტიკურ პროგრამას საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეგა ტვ“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეგა ტვ“–ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.megatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეგა ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
ევროპული საქართველო
44.42%
ქართული ოცნება
41.94%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
13.65%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00% 50.00%


Prime Time
ქართული ოცნება 34% 66%
გაერთიანებული დემოკრატიული... 48% 52%
ევროპული საქართველო 66% 34%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 58% 42%
შენების მოძრაობა 51% 49%
ქრისტიან–კონსერვატიული პარტია 0% 100%
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 0% 100%
რესპუბლიკური პარტია 0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ევროპული საქართველო 68% 32%
ქართული ოცნება 53% 47%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო 55% 45%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „ტელე–რადიო კომპანია ბორჯომი“**

საუკეთესო დროს[2] საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 28.8%, „ევროპულ საქართველოს“ – 23.1%, „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“ – 18.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 13.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ ბორჯომის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები: „განსხვავებული აზრი“, „მრავალკუთხედი“ და „სტუდია რე“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ ბორჯომის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ ბორჯომის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.borjomi.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ ბორჯომს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

[2] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;


Prime Time
პატრიოტთა ალიანსი
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
კომუნისტური პარტია
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
28.82%
23.16%
18.25%
13.23%
9.71%
5.44%
1.39%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%


Prime Time
პატრიოტთა ალიანსი 43% 57%
ევროპული საქართველო 49% 51%
ლეიბორისტული პარტია 60% 40%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 69% 31%
ქართული ოცნება 63% 37%
კომუნისტური პარტია 0% 100%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი... 0% 100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
10%
90%
კაცი
ქალი

შპს „ტელერადიო კორპორაცია ინფორმკავშირი ტელევიზია არგო“

**საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.**

„არგოს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები: „განსხვავებული აზრი“, “მრავალკუთხედი“ და „სტუდია რე“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „არგოს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„არგოს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.argotv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„არგოს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **არ ეძლეოდათ** ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

ააიპ „თავისუფალი მედია სივრცე“
(გურია)

საუკეთესო დროს[3] საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 58.51%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 22.31%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„გურიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“ და „თქვენთან ერთად“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„თქვენთან ერთად“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომაგენლები. ამავე გადაცემაში აღნიშნული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის შედგა დებატები. **გადაცემის წამყვანის განცხადებით, გადაცემაში მოწვევის მიუხედავად, დებატებში მონაწილეობა არ მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა.**

[3] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fms.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.









**შპს სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 81.1%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 18.8% (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 81.1%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 18.8% (იხ. დიაგრამა).

„იმერვიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „რადიო თავისუფლება-გენდერული ამბები“, “ქუჩის აკადემია“, „მრავალკუთხედი“, „რეალური დრო“ , „არტ-ფრეში“ და „რუბიკონი“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმერვიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმერვიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://www.imervizia.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმერვიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
პატრიოტთა ალიანსი
81.11%
18.89%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
70.00%
80.00%
90.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
პატრიოტთა ალიანსი
81.11%
18.89%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
70.00%
80.00%
90.00%


Prime Time
ქართული ოცნება
პატრიოტთა ალიანსი
49%
51%
70%
30%
პირდაპირი %
ირიბი %
0%
20%
40%
60%
80%
100%







**შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი"**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას" – 32%, „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას" – 28.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" – 27.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას" – 32.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" – 25.6%, „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას" – 17.4%, „ევროპულ საქართველოს" – 10%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„თანამგზავრის" ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „თანამგზავრის" თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„თანამგზავრის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tanamgzavri.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„თანამგზავრის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.







Prime Time
ქართული ოცნება
ლეიბორისტური პარტია
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ევროპული საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
20%
80%
41%
59%
88%
12%
39%
61%
100%
0%
61%
39%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ლეიბორისტური პარტია
ევროპული საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
19%
81%
93%
7%
69%
31%
39%
61%
100%
0%
61%
39%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
38%
62%
კაცი
ქალი

**შპს „ტელეკომპანია დია“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 53.4%, „შენების მოძრაობას“ – 23.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 44.3%, „შენების მოძრაობას“ – 26.9%, „რესპუბლიკურ პარტიას“ – 16.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„დიას“ საინფორმაციო გამოშვებაში ინტეგრირებულია სტუმრის ბლოკი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „შენების მოძრაობის“ (ორჯერ), „რესპუბლიკური პარტიის“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „დიას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„დიას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.dia.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„დიას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ყოველდღიურ ახალ ამბებში **მეტნაკლებად** ეძლეოდათ მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





სხვა დრო
ქართული ოცნება
შენების მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
ახალი საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
44.36%
26.90%
16.48%
5.47%
3.98%
1.95%
0.86%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00% 50.00%




Prime Time
ქართული ოცნება 28% 72%
შენების მოძრაობა 27% 73%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 95% 5%
რესპუბლიკური პარტია 22% 78%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი... 64% 36%
ლეიბორისტული პარტია 100% 0%
სახალხო–ხალხის ერთსულოვნება 55% 45%
პატრიოტთა ალიანსი 77% 23%
ევროპული საქართველო 46% 54%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %







**ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 62.12%, „ქართულ ოცნებას“ – 15.63%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 62.31%, „ქართულ ოცნებას“ – 15.58%, „ევროპულ საქართველოს“ – 14.95%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**საანგარიშო პერიოდში „აფხაზეთის ხმის“ ეთერში არ განთავსებულა საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამა.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „აფხაზეთის ხმის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„აფხაზეთის ხმის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.abkhaziafm.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„აფხაზეთის ხმის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ქრისტიან–კონსერვატიული პარტია
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
საქართველოს ლეიბორისტული...
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
დ/კ ა. ელისაშვილი
75%
25%
30%
70%
94%
6%
0%
100%
75%
25%
100%
0%
100%
0%
100%
0%
0%
100%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
რესპუბლიკური პარტია
დ/კ ა. ელისაშვილი
70%
30%
28%
72%
100%
0%
100%
0%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
10%
90%
კაცი
ქალი

**შპს „ხარისხის არხი“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 43.4%, „ევროპულ საქართველოს“ – 16%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 39.8%, „ევროპულ საქართველოს“ – 27.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 20.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ხარისხის არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „ჩაი და პოლიტიკა“, „კონსენსუსი“, „დისკუსია“ და „არჩევნები-2017“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„ჩაი და პოლიტიკა“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „შენების მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„კონსენსუსი“** სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „რეფორმატორების“ (ორჯერ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ი. კაპანაძე, რ. ნოზაძე და ზ. სეფიაშვილი. ამავე გადაცემაში გაიმართა დებატები „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს შორის, აგრეთვე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს და დამოუკიდებელ კანდიდატ ი.კაპანაძეს შორის.

გადაცემას „**დისკუსია“** სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ი.კაპანაძე (ერთხელ). ამავე გადაცემაში გაიმართა დებატი დამოუკიდებელ კანდიდატსა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს შორის.

გადაცემას „**არჩევნები**-2017“ სტუმრობდნენ ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ევროპულ საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და „საქართველოს პატრიოტთა ალიანის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ხარისხის არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ხარისხის არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.qch.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ხარისხის არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პატრიოტთა ალიანსი
შენების მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული...
ლეიბორისტული პარტია
ახალი საქართველო
რესპუბლიკური პარტია
დ/კ ა. ელისაშვილი
მემარცხენე ალიანსი
35%
65%
75%
25%
62%
38%
49%
51%
87%
13%
73%
27%
77%
23%
73%
27%
57%
43%
72%
28%
83%
17%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დ/კ ა. ელისაშვილი
ახალი საქართველო
მემარცხენე ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი...
23%
77%
81%
19%
78%
23%
52%
48%
61%
39%
100%
0%
0%
100%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
16%
84%
კაცი
ქალი

**შპს „იმპერია“**

საუკეთესო დროს[4] საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ევროპულ საქართველოს“ – 54.6%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 29.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იმპერიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა **„განსხვავებული აზრი“,** რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმპერიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმპერიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv9news.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმპერიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




[4] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;







**შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“**

საუკეთესო დროს[5] საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 52.3%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 23.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 10.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მეცხრე ტალღის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა **„განსხვავებული აზრი“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეცხრე ტალღის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

[5] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„მეცხრე ტალღას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.nwbc.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეცხრე ტალღას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.









**შპს „მარნეული ტვ“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 43.8%, „ევროპულ საქართველოს“ - 26.3%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 66.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ –15.7%, „ახალ საქართველოს“ – 10.4%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მარნეული ტვ“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „მრავალკუთხედი“, „სტუდია რე“ და „ჩვენი საქმე“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„განსხვავებული აზრი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მარნეული ტვ“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მარნეული ტვ“–ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.Marneulitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მარნეული ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
საქართველო
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
რესპუბლიკური პარტია
43.83%
26.38%
8.65%
8.36%
4.08%
2.26%
2.21%
2.11%
2.11%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00% 50.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ახალი საქართველო
ევროპული საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
66.78%
15.77%
10.40%
4.87%
2.18%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00% 80.00%


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
საქართველო
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პატრიოტთა ალიანსი
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი...
რესპუბლიკური პარტია
47%
53%
78%
22%
78%
22%
77%
23%
27%
73%
49%
51%
0%
100%
52%
48%
52%
48%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ახალი საქართველო
ევროპული საქართველო
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
41%
59%
36%
64%
29%
71%
100%
0%
100%
0%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
17%
83%
კაცი
ქალი

შპს „სამაუწყებლო კომპანია ბოლნელი“

საუკეთესო დროს დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 29.5%, „ევროპულ საქართველოს“ – 27.8%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 19.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ევროპულ საქართველოს“ – 77.8%, „ქართულ ოცნებას“ – 22.1% (იხ. დიაგრამა).

**„ბოლნელის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, თუმცა მათ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ბოლნელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ბოლნელის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.bolneli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ბოლნელის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
ევროპული საქართველო
77.88%
ქართული ოცნება
22.12%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%
70.00%
80.00%
90.00%


Prime Time
ქართული ოცნება
37%
63%
ევროპული საქართველო
50%
50%
პატრიოტთა ალიანსი
29%
71%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი...
31%
69%
რესპუბლიკური პარტია
51%
49%
ახალი საქართველო
42%
58%
შენების მოძრაობა
0%
100%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ევროპული საქართველო
37%
63%
ქართული ოცნება
52%
48%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %




**შპს „დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში“**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ 32.6%, „ევროპულ საქართველოს“ – 27.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 22.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო[6].

**„ოდიშის“ ეთერში საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ოდიშის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ოდიშის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.odishi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ოდიშის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

[6] დიაგრამა არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან დრო მხოლოდ ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას დაეთმო.


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დ/კ დ. სიჭინავა
შენების მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველო
32.68%
27.80%
22.37%
9.88%
4.89%
2.39%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00%


Prime Time
ქართული ოცნება
ევროპული საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
დ/კ დ. სიჭინავა
შენების მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი...
12% 88%
59% 41%
61% 39%
34% 66%
58% 42%
100% 0%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
32%
68%
კაცი
ქალი

### შპს „ტელე–რადიო პრესკომპანია ზარი“

საუკეთესო დროის მიღმა[7] საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 58%, „ევროპულ საქართველოს“ – 31.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„ზარის“ ეთერში საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ზარის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ზარის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvzari.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ზარის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




[7] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;







შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“

**საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.**

**„ეგრისის“ მიერ საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ეგრისის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ეგრისის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.egrisitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ეგრისის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **არ ეძლეოდათ** ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**შპს „ეკომი“**
**(„ლტვ“)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 54.9%, „ევროპულ საქართველოს“ – 22.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 22.2% (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 47.3%, „ევროპულ საქართველოს“ – 21%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 13.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„ლტვ“–ს ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.**

**„ლტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებული და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.**








Prime Time
ქართული ოცნება
64%
36%
ევროპული საქართველო
70%
30%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
51%
49%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %




სხვა დრო
ქართული ოცნება
31%
69%
ევროპული საქართველო
58%
42%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
36%
64%
პატრიოტთა ალიანსი
56%
44%
შენების მოძრაობა
47%
53%
ახალი საქართველო
66%
34%
რესპუბლიკელები
42%
58%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %




ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
11%
89%
კაცი
ქალი

შპს „ბათუმი 777“

**საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.**

**„ბათუმი ტვ“–ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრვი–პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

**მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ბათუმი ტვ“–ს მიერ წინასაარჩევნო პერიოდში უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს**[8].

შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“
(სდასუ TV)

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 63.57% და „შენების მოძრაობას“ – 17.15%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 65.96% და „შენების მოძრაობას“ – 16.03%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„სდასუ ტვ“–ს მიერ საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „სდასუ TV“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„სდასუ TV“–ს საჯაროდ გამოცხადებულია (sdasu.edu.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სდასუ TV“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

---

[8] აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ არ ხორციელდება ყოველკვირეული ფორმების კომისიაში წარდგენა.


Prime Time
ქართული ოცნება
შენების მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო
მემარცხენე ალიანსი
პატრიოტთა ალიანსი
ევროპული საქართველო
63.57%
17.15%
5.69%
4.42%
3.80%
3.01%
2.36%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
შენების მოძრაობა
რესპუბლიკური პარტია
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო
მემარცხენე ალიანსი
პატრიოტთა ალიანსი
ევროპული საქართველო
65.96%
16.03%
5.32%
4.13%
3.55%
2.81%
2.20%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00%


Prime Time
ქართული ოცნება
44%
56%
შენების მოძრაობა
59%
41%
რესპუბლიკური პარტია
40%
60%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა -თავისუფალი საქართველო
57%
43%
მემარცხენე ალიანსი
76%
24%
პატრიოტთა ალიანსი
81%
19%
ევროპული საქართველო
0%
100%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


სხვა დრო
ქართული ოცნება
44%
56%
შენების მოძრაობა
59%
41%
რესპუბლიკური პარტია
40%
60%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა -თავისუფალი...
57%
43%
მემარცხენე ალიანსი
76%
24%
პატრიოტთა ალიანსი
81%
19%
ევროპული საქართველო
0%
100%
0%
20%
40%
60%
80%
100%
პირდაპირი %
ირიბი %


ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო
6%
94%
კაცი
ქალი

**შპს „ჯგუფი–ახალი სტილი“**

**(მომავალი ტვ)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 63.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 65.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 16.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„მომავალი ტვ“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „თავისუფლების მოედანი“ და „10 შეკითხვა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას **„თავისუფლების მოედანი“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

გადაცემას **„10 შეკითხვა“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენელი და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მომავალი ტვ“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მომავალი ტვ“–ს საჯაროდ გამოცხადებულია (www.momavalitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მომავალი ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


Prime Time
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო
ევროპული საქართველო
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
63.88%
17.56%
8.23%
5.56%
4.66%
0.10%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00%


სხვა დრო
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო
ევროპული საქართველო
შენების მოძრაობა
ლეიბორისტული პარტია
65.48%
16.95%
7.79%
5.26%
4.41%
0.10%
0.00% 10.00% 20.00% 30.00% 40.00% 50.00% 60.00% 70.00%


Prime Time
ქართული ოცნება
81%
19%
ნაციონალური მოძრაობა
87%
13%
გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო
100%
0%
ევროპული საქართველო
100%
0%
შენების მოძრაობა
100%
0%
ლეიბორისტული პარტია
100%
0%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %







შპს „იმერ TV"

**საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.**

**„იმერ TV"-ს ეთერში განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმერ TV"-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმერ TV"-ს საჯაროდ გამოცხადებულია (http://www.imertv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმერ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **არ ეძლეოდათ** ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

### ააიპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრი ჯიხა“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „შენების მოძრაობას“ – 40.6%, „ახალ საქართველოს“ – 26.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 18.2% „ქართულ ოცნებას“ – 14.2%, , ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „შენების მოძრაობას“ – 40.6%, „ახალ საქართველოს“ – 26.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 18.2% „ქართულ ოცნებას“ – 14.2%, , ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**„ჯიხას“ ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ჯიხას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ჯიხას“საჯაროდ გამოცხადებულია (http://jikhatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ჯიხას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
40.61%
26.90%
18.27%
14.21%
0.00% 5.00% 10.00% 15.00% 20.00% 25.00% 30.00% 35.00% 40.00% 45.00%


Prime Time
შენების მოძრაობა
ახალი საქართველო
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ქართული ოცნება
65%
35%
68%
32%
0%
100%
0%
100%
0% 20% 40% 60% 80% 100%
პირდაპირი %
ირიბი %







შპს „სიგულდა“

(TV Max)

**საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.**

„TV Max“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„ჰორიზონტი“**, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „სიგულდას“ მიერ წინასაარჩევნო პერიოდში უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს.

„TV Max“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **არ ეძლეოდათ** ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“

„ქართული არხის“ სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„ქართული არხის“ ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

„ქართული არხის“ საჯაროდ გამოცხადებული  და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „გაზეთი აჭარა PS”
(TV 12)

„TV 12“–ის სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„TV 12“–ის ეთერში საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

„TV 12“–ის საჯაროდ გამოცხადებული (http://adjaraps.com/) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

## ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთები:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან დაიცვან ამავე კანონმდებლობით განსაზღვრული წესები. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ასევე „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების საფუძველზე კომისია უზრუნველყოფს მედიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მონიტორინგს და ახორციელებს რეაგირებას შესაბამის დარღვევებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებისგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისგან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაწილობრივ, თანადაფინასებით ან სრულად დაფინანსებული გაზეთების თაობაზე.

კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს დაექვემდებარა შემდეგი გაზეთები: შპს „სამტრედიის მაცნე"; შპს „საგამომცემლო ცენტრი საერთო სიტყვა" – „საერთო სიტყვა"; შპს „თვითმმართველობის მაცნე"; შპს „ეგრისის მაცნე"; გაზეთი „ახალი საქართველო"; ა(ა)იპ თავისუფალი პრესა - გაზეთი „მარტვილი"; ა(ა)იპ მასმედი ჩხოროწყუ - გაზეთი ჩხოროწყუ; გაზეთი „გორის მაცნე"; გაზეთი „მცხეთა"; შპს „შირაქი" - გაზეთი „შირაქი"; გაზეთი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი"; გაზეთი „ხობის მოამბე"; შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა"; გაზეთი „თიანეთის მომავალი"; გაზეთი „ახალი წყალტუბო"; გაზეთი „ლეჩხუმი"; გაზეთი „ახალი ხარაგაული"; ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე" - გაზეთი „გურჯაანი"; შპს „მედია - ცენტრი" - გაზეთი „ყვარელი"; გაზეთი „ხაშურის მოამბე"; გაზეთი „სვანეთი"; გაზეთი „ჩემი აფხაზეთი"; გაზეთი „კოლხეთი"; გაზეთი „სიღნაღი"; „ქარელის მოამბე"; გაზეთი „ვრასტანი"; გაზეთი „გურჯისტანი"; გაზეთი „ბახტრიონი"; შპს „გაზეთი ბოლნისი"; შპს „მეურვე"; ააიპ კავშირი პრესა საქართველო; „ჩემი გაზეთი"; გაზეთი „თერჯოლა"; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის" ჩანართი „ასპინძის სიახლენი".

**ზემოთ ჩამოთვლილი 34 გაზეთიდან კანონით დადგენილი წესით და ვადებში ინფორმაციას მხოლოდ 19 გაზეთი წარმოადგენს, ესენია:** შპს „სამტრედიის მაცნე"; ა(ა)იპ მასმედი ჩხოროწყუ - გაზეთი ჩხოროწყუ; გაზეთი „გორის მაცნე"; შპს „შირაქი" - გაზეთი „შირაქი"; გაზეთი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი"; გაზეთი „ხობის მოამბე"; შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა"; გაზეთი „თიანეთის მომავალი"; გაზეთი „ახალი წყალტუბო"; ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე" - გაზეთი „გურჯაანი"; შპს „მედია - ცენტრი" - გაზეთი „ყვარელი"; გაზეთი „ხაშურის მოამბე"; გაზეთი „ჩემი აფხაზეთი"; გაზეთი „ბახტრიონი"; შპს „გაზეთი ბოლნისი"; გაზეთი „თერჯოლა"; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის" ჩანართი „ასპინძის სიახლენი"; გაზეთი „ახალი ხარაგაული"; გაზეთი „კოლხეთი".

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შასრულების მიზნით, კომისიამ კერძო კომპანიების საშუალებით სცადა განეხორციელებინა იმ გაზეთების საკონტროლო შესყიდვა, რომლებიც კომისიაში შესაბამის ინფორმაციას არ წარმოადგენდნენ, თუმცა პრესის გავრცელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს ზემოთხსენებული გაზეთები ჩამონათვალში არ აქვთ, რის გამოც კომისიამ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს და სთხოვა გაზეთების წარმოდგენა.

## <u>გამოვლენილი დარღვევები:</u>

### „საზოგადოებრივ მაუწყებელს" და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს" წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესის დაარღვევის გამო კომისიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები შეუდგინა

2017 წლის 13 სექტემბერს საარჩევნო ბლოკმა „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო" პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა განსათავსებლად წარუდგინა „საზოგადოებრივ მაუწყებელს" და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს". ორივე მაუწყებელმა მისთვის წარდგენილი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის საკუთარ სამაუწყებლო ბადეში განთავსებაზე განაცხადა

უარი იმ მოტივით, რომ აღნიშნული პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა შეიცავდა კომერციული რეკლამის ელემენტებს - ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ნიშნებს.

2017 წლის 15 სექტემბერს საარჩევნო ბლოკმა „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ მიმართა კომისიას „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის“ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მოთხოვნით.

კომისიამ, მისთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, შეისწავლა საარჩევნო ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ წარდგენილი რეკლამა და მიიჩნია, რომ აღნიშნული ვიდეო რგოლი არ ეწინააღმეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე–2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის დეფინიციასა და კრიტერიუმებს და ამასთან, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი რეკლამის მიზანს არ წარმოადგენს რეკლამაში აღნიშნული კონკრეტული პრეპარატის რეალიზაციის ხელშეწყობა და იგი მიზნად არ ისახავს ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების პროპაგანდას.

კომისიამ მიიჩნია, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საარჩევნო ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა – დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის სამაუწყებლო ბადეში განთავსებაზე უარის თქმით დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე–5 პუნქტი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, კომისიამ ამ კანონის 82-ე და 83-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმები შეუდგინა ორივე მაუწყებელს და შესაბამის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა განსახილველად.

ქ. თბილისის და ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოებმა მხარეების თანდასწრებით განიხილეს საკითხები და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ მიიჩნიეს სამართალდამრღვევებად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22–ე მუხლის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა სიტყვიერი შენიშვნა.

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების წესის დაარღვევის გამო კომისიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები შეუდგინა**

2017 წლის 8, 12 და 13 სექტემბერს პგ „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს“ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ) ქვეპუნქტი. კერძოდ, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას არ განთავსდა სავალდებულო წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მხარეების თანდასწრებით განიხილა საკითხი და „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" მიიჩნია სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22–ე მუხლის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა სიტყვიერი შენიშვნა.

**– მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა რიგი მაუწყებლის მიერ, მათზე მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები. კომისიაში მიმდინარეობს ყოველი კონკრეტული საკითხის შესწავლა და ობიექტური გარემოებების არარსებობისას, დაიწყება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებები და კომისია გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.**

## რეკომენდაციები:

**–_„რუსთავი 2"-ის ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემები „ვანოს შოუ" და „სხვა შუადღე", რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ ნ. მელია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), ლ. ბერძენიშვილი (რესპუბლიკური პარტია) და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი.**

**– „ტელეიმედის" ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემები „მეგობრები", „იმედის დღე" და „იმედის დილა", რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ ა. თალაკვაძე (ქართული ოცნება), კ. კალაძე (ქართული ოცნება), ე. კვიციანი (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი).**

*ზემოაღნიშნულ გადაცემებში რესპოდენტები გამოთქვამდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს;*

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

**– 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, კომისია ახსენებს მაუწყებლებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს წინასაარჩევნო დებატების სამაუწყებლო ბადეში განთავსების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს <u>არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით</u>, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–16 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – <u>აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები</u>. ამავე კანონის 55–ე მუხლის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. საერთო მაუწყებელმა მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა <u>არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში</u>.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მოუწოდებს მაუწყებლებს დებატების პროგრამაში უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის არადისკრიმინაციული და თანაბარი მონაწილეობა, აღნიშნული კანონისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია ვალდებული იქნება მაუწყებლების მიმართ გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.**